1

ქალაქ თბილისის მერი

ბრძანება № 16

„9" ივლისი 2010 წ.

№05
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
შეტანილია ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში და მინიჭებული აქვს სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი
"14" 07 2010 წ.
№ 020.080.130.38.101.000.096

ქ. თბილისი

„ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურისთვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" ქ. თბილისის მერის 2010 წლის 11 ივნისის №12 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურისთვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" ქ. თბილისის მერის 2010 წლის 11 ივნისის №12 ბრძანებაში და ბრძანების დანართით დამტკიცებული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135-ე მუხლითა და 135^{1} მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის მე-3 მუხლის მე-13 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13. საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, მისი შევსებიდან არა უგვიანეს მეორე სამუშაო დღისა, რეგისტრირებული უნდა იქნეს წინამდებარე წესის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ჟურნალში".

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქ. თბილისის მერი გიორგი უგულავა

თბილისი 0160, ქ. შარდენის 7; ტელ: (+995 32) 37 81 70, 37 81 74; ფაქსი: (+995 32) 37 82 00; www.Tbilisi.gov.ge